Иара убас, иаҵшьны иазгәаҭахоит зыӡбахәы ҳәоу аҵаратә программа зыԥшра ҟамҵакәа ишаԥҵатәу ирласӡаны аларҵәара иаҿу иԥсабаратәым аинтеллекти зымҽхак наӡоу аԥхьаӡацтә економикеи репохаҿ ақырҭуеи аԥсуеи бызшәақәа рҿаԥхьа иқәгылоу акрызҵазкәа ашәарҭарақәа рымшала, урҭ риааиразы зда ԥсыхәа иҟам ҭагылазаашьоуп аҳасабратә лингвистика, мамзаргьы, алогикеи, абызшәеи, иԥсабаратәым аинтеллекти, адырреи аинцьнырра ахырхарҭала ақырҭуеи аԥсуеи бызшәақәа здыруа аспециалист ҿарацәа ирласӡаны рааӡареи, анеҩс, ақырҭуеи аԥсуеи бызшәақәеи ахәыцшьеи аматематикатә ганахьала инаӡаны рыҭҵаареи атехнологиатә аиқәыршәареи аепохатә ҵакы змоу аҳасабтәқәа рыӡбаразы ауниверситет аҳәаақәа ирҭагӡаны иалагахьоу апроцессқәа рҿы рылахәызаара ирласӡаны аиқәыршәареи.

**Ҭабуп** ҳәа раҳҳәоит иахьатәи аконференциа (https://geoanbani.com/GSLinAIDE) адгылаҩцәеи аспонсорцәеи – Қырҭтәыла Аҵареи, аҵарадырреи, аҿар русқәеи рзы аминистрреи Қырҭтәыла Атехникатә университети.

## Алитература

1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf – ажурнал „Алогикеи, абызшәеи, иԥсабаратәым аинтеллекти“, 2025.

2. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf - ажурнал „Алогикеи, абызшәеи,иԥсабаратәым аинтеллекти“, 2023-2024.
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/16.pdf - 2022 шықәса ԥхынҷкәын 26 рзы Қырҭтәыла Атехникатә университет Академиатә хеилак ишьақәнарҕәҕәаз, Қырҭтәыла ақырҭуеи аԥсуеи абызшәатә.

# „ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნება-ამოქმედება როგორც ჩვენი ინსტიტუტის ამ ეტაპობრივი მთავარი მიზანი

**დავით გეგია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**
davidgegia@yahoo.com

მოხსენებისას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში “ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის” სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის რაც შეიძლება დროული დაფუძნება-ამოქმედება, დასაბუთებულად წარმოჩინდება ჩვენი ინსტიტუტის პირველ რიგში მისაღწევ უმნიშვნელოვანეს მიზნად.

კერძოდ, მოხსენებისას ხაზი გაესმება იმას, რომ ზემოთ გაჟღერებული ახალი სასწავლო პროგრამის გადაუდებელი დაფუძნების მიზეზია კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქით ქართული და აფხაზური ენების წინაშე დღეს მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის საფრთხეები და გამოწვევები.

ამასთან, მოხსენებისას დასაბუთდება, რომ ზემოაღნიშნული საფრთხეებისა და გამოწვევების დაძლევა აუცილებლობით ითხოვს ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის ენობრივად ქართველი და აფხაზი ახალგაზრდა სპეციალისტების ჯერ დაჩქარებულ აღზრდას და, მერე, მათ ასევე დაჩქარებულ ჩართვას ქართული და აფხაზური ენების დაცვა-განვითარების მიზნით ინსტიტუტის ფარგლებში მიმდინარე იმ კვლევით პროცესებში, რომელთა მიზანია თითქმის სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული “ტვინების” შემუშავება.

ასევე, მოხსენებისას, ხაზი გაესმება იმ ფაქტს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით 2004-2006 წლებში დაფუძნებული სასწავლო პროცესების გაუქმება-“ჩარეცხვის” მერე, საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში ზემოხსენებული ფაკულტეტის დაფუძნებით 20 წლიანი წყვეტის შემდეგ სახელმწიფო-საბიუჯეტო საფეხურზე კვლავ დაბრუნდება საქართველოს სახელმწიფო ენების სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნები.

**მადლობა** დღევანდელი კონფერენციის (https://geoanbani.com/GSLinAIDE) მხარდამჭერებსა და სპონსორებს ანუ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

## ლიტერატურა

1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf - ჟურნალი „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“, 2023-2024.
2. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2006-2007.
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf - ღია წერილი „მამული, ენა, სარწმუნოება“.

# „Алогикеи, Абызшәеи, Иҧсабаратәым Аинтеллекти, Адырреи Ринцьнырра“ Х- Ȣаӡарактәи Атџаратә Программа Ашьаҭакреи Аус Аруреи ҳинститут Аетаптә Хыҟәкы Хада Аҳасабала

**Давиҭ Гегиа**
**Қырҭтәыла Атехникатә Университет, Аҳәынҭқарратә Бызшәақәа Ркультура Ахьчареи Атехнологиатә Ҿиареи Рзы Атџарадырра-Ҭтџааратә Институт**
davidgegia@yahoo.com

Ажәахәҟатџараан Қырҭтәыла Атехникатә университетаҿ “Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти, адырреи ринцьнырра” х-ȣаӡарактәи апрограмма излауа ала ирласны ашьаҭакреи аус аруреи азтџаара итџатџгәыркны иаарҧшызаауеит ҳинститутаҿ зегьы раҧхьа инагӡатәу акрызтџазкәа ахыҟәкы аҳасабала.

Лымкаала, ажәахәҟатџараан иатџшьны иазгәаҭахоит хыхь зызбахәы ҳәоу атџаратә программа ҿыц зыҧшра ҟамтџакәа ишаҧтџатәу ирласӡаны аларҵәара иаҿу, зхаҭабзиара ҳараку иҧсабаратәыи аинтеллекти змасштаб наӡоу аҧхьаӡацтә економикеи репохаҿы ақырҭуа бызшәеи аҧсуа бызшәеи рҿаҧхьа иқәгылоу, зтџакы дуу ашәарҭаракәеи ауадаȣракәеи рымшала.

Иара убас, иатџшьны иазгәаҭахоит, хыхь зызбахәы ҳәоу ашәарҭаракәеи ауадаȣракәеи риааиразы зда ҧсыхәа иҟам ҭагылазаашьас ишыҟоу алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым

аинтеллекти, адырреи аинцьнырра ахырхарҭала ақырҭуеи аҧсуеи бызшәақәа здыруа аспециалист ҿарацәа ирласӡаны рааӡареи, анеиҩс, ақырҭуеи аҧсуеи бызшәақәа рыхьчареи рырҿиареи амзызла аинститут аҳәаақәа ирҭагӡаны имҩаҧысуа, зегьы рыла еиқәыршәоу ақырҭуеи аҧсуеи акомпиутертә "ахшыбаҩ" аҧҵара иазку аҭҵааратә процессқәа рҿы рылахәызаара ирласӡаны аиқәыршәареи.

Иара убас, ажәахәҟаҵараан иаҭшьны иазгәаҭахоит Иуане Џьавахишвили ихьӡ зху Қарҭтәи аҳәынҭқарратә университетаҿ ақырҭуа бызшәа аматематикатә ганахьала аҭҵаареи атехнологиатә аиқәыршәареи амзызла 2004-2006 шықәсқәа рзы иалагаз аҵаратә процессқәа раҧыхра-«рхыркәшара» анеиҩс, Қырҭтәыла Атехникатә университетаҿ абри афакультет аартра абзоурала, 20 шықәсатәи аангылара ашьҭахь, Қырҭтәыла аҳәынҭқарратә бызшәақәа аматематикатә ганахьала рыҭҵаареи атехнологиатә аиқәыршәареи ахықәққәа аҳәынҭқарра-абиуџьеттә аҩаӡарашҟа ишыхынҳәуа.

**Ҭабуп** ҳәа раҳҳәоит иахьатәи аконференциа (https://geoanbani.com/GSLinAIDE) адгылаҩцәеи аспонсорцәеи – Қырҭтәыла Аҵареи, аҵарадырреи, аҿар русқәеи рзы аминистрреи Қырҭтәыла Атехникатә университети.

## Алитература


1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf - Ажурнал „Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти“, 2023-2024.
2. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf – Ажурнал „Ақырҭуа бызшәеи алогикеи“, 2006-2007.
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf - Иаарту ашәҟәы „Аҧсадгьыл, абызшәа, адинхаҵара“.


# სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების მიზეზები და უახლოესი მიზნები ანუ, მოკლედ, ინსტიტუტის OTG-II-26-118 და GSDP-26-808 პროექტების შესახებ


კონსტანტინე ფხაკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
gllc.ge@gmail.com


მოხსენებისას მიმოხილული იქნება ის საფრთხეები, რომელთა წინაშეცაა რიგ სხვა ევროპულ ენებთან ერთად მათემატიკური და საინჟინრო თვალსაზრისებით არასაკმარისად შესწავლილი საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენა - ქართული და

მით უფრო იმავე მათემატიკური და საინჟინრო თვალსაზრისებით ბევრად უფრო მწირედ შესწავლილი საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა - აფხაზური, რაც, მთავარი მიზეზია იმისა, რომ 2025 წლის 15 მაისს საქართველოს მთავრობის საბიუჯეტო დაფინანსებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედდა ჩვენი ინსტიტუტი, რომლის მიზნებიც სწორედ ამ საფრთხეებისგან ქართული და აფხაზური ენების დაცვაა. ამასთან, ინსტიტუტის უახლოესი მიზნებია OTG-II-26-118 და GSDP-26-808 პროექტები, რომლებიც ინსტიტუტმა საგრანტო დაფინანსებაზე წარადგინა რუსთაველის ფონდში. ანუ:

1. OTG-II-26-118 პროექტის დაფინანსების შემთხვევაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2026 წლის სექტემბერში, ჩატარდება "ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის" პირველი საერთაშორისო კონფერენცია და საზაფხულოს სკოლა, რაც ძლიერ წაადგება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში "ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის" დღეს ასე საჭირო სასწავლო პროცესების დროულ დაფუძნება-ამოქმედებას;

2. GSDP-26-808 პროექტის დაფინანსების შემთხვევაში სულ მალე გვექნება:
   2.1. აფხაზური ორთოგრაფიული მართლმწერის პირველი მუშა საინტერნეტო ვერსია, რომელიც მნიშვნელოვან ხიდად იქცევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ჭრილში, რადგან ეს პირველი აფხაზური ორთოგრაფიული მართლმწერი აფხაზურ ენას აფხაზებისთვის ცოტათი მაინც უფრო მეტად კომფორტულს გახდის, ვიდრე არის!
   2.2. ქართული ენის ლოგიკის საფუძვლები, რაც ძირეულად მნიშვნელოვანია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ქართული ენის ლოგიკის სასწავლო კურსის შესატანად, რაც, თავის მხრივ, ცხადია, ძლიერ წაადგება ქართული ენით მოაზროვნე ბავშვებისა და ახალგაზრდების ენობრივ-მათემატიკური სააზროვნო უნარების გაღრმავება-გაძლიერების დღეს მეტად მნიშვნელოვან მიზნებს.

## ლიტერატურა


1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf - ჟურნალი „ლოგიკა, ენა და ხელოვნური ინტელექტი", 2025.
2. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf - ჟურნალი „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი", 2023-2024.
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/16.pdf - სტუ აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 26 დეკემბერს მხარდაჭერილი კონცეფცია საქართველოში ქართული და აფხაზური ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების თაობაზე, 2022.

# ҚТУ Аҿы Иҟоу Қырҭтәыла Аҳәынҭқарратә Бызшәақәа Ркультура Ахьчареи Атехнологиатә Ҿиареи Рзы Атҵарадырра- Ҭҵааратә Институт Ашьаҭакра Амзызқәеи Ааигәатә Хықәкқәеи, Мамзаргьы, Иааркьаҿны, Аинститут OTG-II-26-118-и GSDP-26-808-и Апроектқәа Ирызкны

**Константине Пҕхакаӡе**
**Қырҭәтыла Атехникатә Университетаҿ Иҟоу Қырҭәтыла Аҳәынҭқарратә Бызшәақәа Ркультура Ахьчареи Атехнологиатә Ҿиареи Азы Атҵарадырра-Ҭҵааратә Институт**
gllc.ge@gmail.com

Ажәахәҟатҵараан ирылацәажәоит егьырҭ европатәи абызшәақәа инарывагыланы аматематикатәи аинцьыртәи ганахьала цқьа иҭҵаам Қырҭтәыла аҳәынҭқарратә бызшәа хада – ақырҭуа бызшәеи, иара убас, аматематикатәи аинцьыртәи ганахьала иаҳа имаҷӡаны иҭҵаау Қырҭтәыла аҩбатәи аҳәынҭқарратә бызшәа–аҧсуа бызшәеи изҭагыло ашәарҭаракәа, убри амзызла, 2025 шықәса латҵара 15 рзы, Қырҭтәыла аиҳабыра рбиуџьеттә финансыркрала, Қырҭтәыла Атехникатә университетаҿ ҳинститут аусура иалагеит, уи хықәкыс иамоуп ақырҭуеи аҧсуеи бызшәақәа зыӡбахәы ҳәоу ашәарҭаракәа рҟынтә рыхьчара. Иара убас, аинститут ааигәатә хықәкқәоуп OTG-II-26-118-и GSDP-26-808-и апроектқәа, аинститут, арҭ апроектқәа рзы агрант аиуразы, Русҭавели ифонд арзаҳал аланатцеит. Даҽакала иуҳәозар:

1. OTG-II-26-118 апроект афинансқәа азоурышьҭыр, 2026 шықәса цәыббразы Қырҭтәыла Атехникатә университетаҿ имҩаҧгахоит "Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти, адырреи аинцьырра" раҧхьатәи жәларбжьаратәи аконференциеи аҧхынтә школи, уи Қырҭтәыла Атехникатә университетаҿ"Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти, адырреи ринцьырра" зтҵакы дуу атҵаратә процесс ашьаҭакреи амҩаҧгареи даараӡа иацхраауеит;

2. GSDP-26-808 апроект афинансқәа азоурышьҭыр, хара имгакәа иҳауеит:
   2.1. аҧсуа аорфографиатә аҩыра раҧхьатәи аусуратә аинтернеттә версиа, уи ақырҭуа-аҧсуа еизыҟазаашьақәа рганахьала акрызҵазкәа ацҳас иҟалоит, избанзар, абри раҧхьатәи аҧсуа аорфографиатә ҧышәага абзоурала, аҧсуаа, хәычҷык адамхаргьы, аҧсуа бызшәа атҵара иаҳа ирзыманшәалоит!
   2.2. ақырҭуа бызшәа алогика ашьаҭақәа, уи атҵакы ду амоуп ақырҭуа арккаратә қәыҧшыларaҿы ақырҭуа бызшәа алогика атҵаратә курс алартцәаразы, насгьы, ҳәарада, ақырҭуа бызшәала ихәыцуа ахәычқәеи аҿари рҿы абызшәа-математикатә ахәыцратә гәыртҟәыл арҭбаареи арҕәҕәареи иазку, иахьазы зтҵакы дуу ахықәкқәа рынагӡара иацхраауеит.

## Алитература

1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf - Ажурнал „Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти", 2025.

2. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf - Ажурнал „Алогикеи, абызшәеи, иҧсабаратәым аинтеллекти“, 2023-2024.
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/16.pdf 2022 шықәса ҧхынҷкәын 26 рзы Қырҭтәыла Атехникатә университет Академиатә хеилак ишьақәнарҕәҕәаз, Қырҭтәыла ақырҭуеи аҧсуеи абызшәатә технологиақәа рҿиара иазку аконцепциа, 2022.

## ციფრული ეკონომიკის ტენდენციები და პერსპექტივები სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვასა და გაძლიერებაში

**გელა ლობჯანიძე, გოჩა ნანიტაშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
g.lobjanidze@gtu.ge
g.nanitashvili@gtu.ge

XXI საუკუნის გლობალური ტრანსფორმაციების ფონზე ციფრული სუვერენიტეტი თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კომპონენტია. იგი გულისხმობს სახელმწიფოს, საზოგადოების და ინსტიტუტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად აკონტროლონ საკუთარი ციფრული ინფრასტრუქტურა, მონაცემები, საკომუნიკაციო სისტემები, კიბერუსაფრთხოება, ციფრული კულტურული სივრცე და იგი თანაბრად მოიცავს ტექნოლოგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდენტობით ასპექტებს. შესაბამისად, საქართველოსთვის ციფრული სუვერენიტეტის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყანა ერთდროულად განიცდის: გლობალური ციფრული ინტეგრაციის პროცესს, რეგიონულ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, კულტურული იდენტობის დაცვის საჭიროებას, ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებულ მოთხოვნას.

ციფრული ეკონომიკა ქმნის სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ახალ ფორმებს. სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ განვითარებულ ციფრულ ინფრასტრუქტურას, მონაცემთა ეროვნულ სისტემებსა და ტექნოლოგიურ რესურსებს, უფრო მდგრადნი არიან გლობალური ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, ციფრული პლატფორმების განვითარება ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს, აჩქარებს ეკონომიკურ პროცესებს და ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნესის ფორმირებას. ამასთან, ციფრული ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაცემთა კონტროლი, რადგან ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის სტრატეგიულ რესურსად გადაიქცა.

ციფრული სუვერენიტეტი საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ცივილიზაციურ გამოწვევას. ქვეყნის მდგრადი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი: ეროვნული მონაცემთა კონტროლის გაძლიერებას, კიბერუსაფრთხოების სისტემების განვითარებას, ქართული ენისა და კულტურის ციფრულ დაცვას, ადგილობრივი ხელოვნური ინტელექტის (AI/Artificial Intelligence) და ტექნოლოგიური ეკოსისტემის შექმნას, გლობალიზაციის პირობებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას და სახელმწიფო მდგრადობის გაძლიერებას. შესაბამისად, ციფრული ეპოქის პირობებში სახელმწიფო სუვერენიტეტი სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ ტერიტორიული საზღვრებით და ტექნოლოგიური შესაძლებლობებით, არამედ სახელმწიფოს, მეცნიერების, ბიზნესის, საზოგადოების და გარემოს შორის სინერგიული თანამშრომლობით, მონაცემთა, ინფორმაციის, ალგორითმებისა და კულტურული ნარატივების კონტროლის უნარით. სწორედ ამიტომ, საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის გაძლიერება უნდა განიხილებოდეს როგორც გრძელვადიანი ეროვნული განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურულ თვითმყოფადობას, ტექნოლოგიურ დამოუკიდებლობას, ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობასა და უსაფრთხო ციფრულ მომავალს.

## Аҧхьаӡацтә Економика Атенденциақәеи Аперспективақәеи Аҳәынҭқарратә Суверенитет Ахьчареи Арӷәӷәареи Аҿы

**Гела Лобжаниӡе, Гоча Наниташвили**
**Қырҭтәыла Атехникатә Университет**
g.lobjanidze@gtu.ge
g.nanitashvili@gtu.ge

XXI ашәышықәсазы имҩаҧысуа аглобалтә аиҭакрақәа рфонаҿ аҧхьаӡацтә суверенитет ҳаамҭазтәи аҳәынҭқарра зҵакы дуу астратегиатә компонентқәа иреиуп. Уи аҳәынҭқарреи, ауаажәларреи, аинститутқәеи алшара рнаҭоит ихьыҧшымкәа рхатә аҧхьаӡацтә инфраструктуреи, адыррақәеи, акоммуникациатә системақәеи, акибершәарҭадареи, аҧхьаӡацтә акультуратә қәыҧшылареи рхылаҧшразы, уаҟа еиҟараны еилоуп атехнологиатәи, акультуратәи, аполитикатәи, аекономикатәи аспектқәа. Убри аҟынтә, аҧхьаӡацтә суверенитет азҵаара Қырҭтәылазы аҵакы ҷыда амоуп, избанзар, атәылаҿы аамҭакала иқәгылоуп абарҭ азҵаарақәа: аглобалтә аҧхьаӡацтә интеграциеи, арегионалтә агеополитикатә ауадаҩрақәеи, акультуратә аҷыдаҟазшьара ахьчареи, атехнологиатәи аекономикатәи аҿиара лас аҭахреи. Аҧхьаӡацтә економика аҳәынҭқарра аекономикатә хьыҧшымра аформа ҿыцқәа аҧнаҵоит.

Аҧхьаӡацтә инфраструктура бзиеи, адыррақәа рмилаҭтә системақәеи, атехнологиатә ресурсқәеи ахьыҟоу аҳәынҭқаррақәа аглобалтә економикатә кризисқәа иаҳа имарианы

ирхыргоит. Убри аҟынтә, аԥхьаӡацтә платформақәа рҿиара атранзакциатә харцьқәа армаҷуеит, аекономикатә процессқәа арласуеит, аинновациатә бизнес ашьақәгылара иацхраауеит. Иара убас, аԥхьаӡацтә економика аныҟоу, адырраҟәа рхылаԥшра атцакы ҷыда аиуеит, избанзар, аинформациа – ҳаамҭазтәи аекономика астратегиатә ресурсны иҟалеит.

Аԥхьаӡацтә суверенитет аҳәынҭқарразы атехнологиатә мацара акәымкәа, ацивилизациатәгьы ҳасабтәуп. Атәыла иҭышәынтәалоу аҿиара зхьыԥшу аҭагылазаашьақәа иреиуп: амилаҭтә дырраҟәа рхылаԥшра арҕәҕәара, акибершәарҭадара асистема аҿиара, ақырҭуа бызшәеи акультуреи аԥхьаӡацтә системала рыхьчара, аҭыԥантәи иԥсабаратәым аинтеллекти (AI/Artificial Intelligence) атехнологиатә екосистемеи раԥҵара, аглобализациа аҭагылазаашьаҿы амилаҭтә аҷыдаҟазшьара ахьчареи аҳәынҭқарра аҭышәынтәалара арҕәҕәареи. Убри аҟынтә, аԥхьаӡацтә епоха аан аҳәынҭқарратә суверенитет иаҳа-иаҳа иҳәаақәҵахоит атерриториатә ҳәаақәа рыла мацара акәымкәа, адырраҟәеи, аинформациеи, алгоритмқәеи, акультуратә нарративқәеи рхылаԥшра агәырҵҟәыл алагьы. Убри азоуп Қырҭтәыла аԥхьаӡацтә суверенитет арҕәҕәара азҵаара - атәыла акультуратә ҷыдаҟазшьареи, атехнологиатә хьыԥшымреи, аекономикатә конкуренциалшареи, ишәарҭам аԥхьаӡацтә аԥеиԥши еиқәзыршәо, акыраамҭалатәи амилаҭтә аҿиара астратегиатә ԥыжәара аҳасабала изахәаԥштәу.

## TSR ლოგიკის მეთოდების გამოყენება

**ლალი ტიბუა**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**
ltibua@gmail.com

მოხსენებისას მიმოხილულია შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიაზე დაყრდნობით შემუშავებული τSR ლოგიკა [1], რომლის ენაშიც შალვა ფხაკაძის Sx და Rx ჩასმის ანუ ჩანაცვლების მეტა ოპერატორები თეორიის ძირითად ოპერატორებად არის მიჩნეულია.

ამასთან, მოხსენებისას ყურადღება გამახვილებულია შალვა ფხაკაძის Ჭ საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენისა და აღნიშვნათა თეორიის [2] მეთოდების გამოყენებაზე პროგრამირების ენებში.

### ლიტერატურა

1. Rukhaia Kh; Tibua L; Chankvetadze G; Dundua B. One Method of Constructing a Formal System; Applied Mathematics, Informatics and Mechanics (AMIM), T.11, N 2; 2006.
2. Ш.С. Пхакадзе ; Некоторые вопросы теории обозначений. Изд. ТГУ, Тбилиси, 1977г

## TSR Алогика Аметодқәа рхархәара

**Лали Тибуа**
**Иуане Џьавахишвили Ихьӡ зху Қарҭтәи Аҳәынҭқарратә Университетаҿ Иҟоу**
**Илиа Векуа Ихьӡ зху Ахархәаратә Математика Аинститут**
ltibua@gmail.com

Ажәахәҟаҵараан иахцәажәеит Шьалуа Ҧхакаӡе иаҧиҵаз адыргақәа ртеориа ашьаҭала аус здырулаз TSR алогика [1], уи абызшәаҿгьы Шьалуа Ҧхакаӡе Sx-и Rx-и алагалара мамзаргьы аҧсахра амета операторқәа атеориа ахадаратә операторқәас иҧхьаӡоуп.

Иара убас, ажәахәҟаҵараан хшыҩзышьҭра азуп Шьалуа Ҧхакаӡе $\mathfrak{J}$ изеиҧш математикатә бызшәеи адыргақәа ртеориеи [2] апрограммаркратә бызшәақәа рҿы рхархәара азҵаара.

**Алитература**

1. Rukhaia Kh; Tibua L; Chankvetadze G; Dundua B. One Method of Constructing a Formal System; Applied Mathematics, Informatics and Mechanics (AMIM), T.11, N 2; 2006.
2. Ш.С. Пхакадзе ; Некоторые вопросы теории обозначений.   Изд. ТГУ, Тбилиси, 1977г

## არამკაფიო ლოგიკაზე დაფუძნებული ინტერპრეტირებადი მოდელი ქალაქის გარემოში ელექტრომაგნიტური რისკების შეფასებისთვის

**ლია კურტანიძე**
**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი**
L.kurtanidze@seu.edu.ge

თანამედროვე ქალაქებში სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, უსადენო საკომუნიკაციო სისტემებისა და ჭკვიანი ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების დონე. ქალაქის გარემოში ელექტრომაგნიტური გამოსხივების მუდმივი ზემოქმედება მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებს წარმოშობს, განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვის ზონებში. ელექტრომაგნიტური ველის შეფასების ტრადიციული მეთოდები ძირითადად ეფუძნება ფიქსირებულ ზღვრულ მნიშვნელობებს, თუმცა მსგავსი მიდგომები ხშირად ვერ ასახავს გაურკვევლობას, რისკის დონეებს შორის თანდათანობით გადასვლას და რეალური ქალაქური გარემოს სირთულეს. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ნაშრომში წარმოდგენილია არამკაფიო ლოგიკაზე დაფუძნებული ინტერპრეტირებადი მოდელი ქალაქის გარემოში ელექტრომაგნიტური რისკების შეფასებისთვის, რომელიც აგებულია თბილისში ჩატარებული რეალური გაზომვების საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა ელექტრომაგნიტური ველის ინტენსივობის გაზომვები სხვადასხვა ფუნქციურ ქალაქურ ზონაში. მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ელექტრომაგნიტური ზემოქმედების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ინფრასტრუქტურის ტიპისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით.

მოდელირებისა და შედეგების ინტერპრეტირებადობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა არამკაფიო ლოგიკის დასკვნის სისტემა. სისტემა იყენებს ლინგვისტურ ცვლადებს — დაბალი, საშუალო და მაღალი ზემოქმედება — რაც უზრუნველყოფს ადამიანისთვის გასაგებ და ინტერპრეტირებად რისკების შეფასებას.

სხვა არსებული მეთოდებისგან განსხვავებით, არამკაფიო ლოგიკა უზრუნველყოფს რისკის დონეებს შორის რბილ გადასვლებს და ზრდის გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობას. აღნიშნული სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას გარემოს მონიტორინგის სააგენტოების, ურბანული დაგეგმარებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში გადაწყვეტილების მხარდაჭერის ინსტრუმენტად.

**მადლიერება:** პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, პროექტის № YS-25-4322 ფარგლებში.

## Еилкаам алогика шьаҭас измоу зеилыркаара ҟало амодель ақалақь алагылазаараҿы афымца-мхылдызтә шәарҭарақәа раарҧшразы

**Лиа Куртаниӡе**
**Қырҭҭәыла Амилаҭтә Университет**
L.kurtanidze@seu.edu.ge

Ҳаамҭазтәи ақалақьқәа рҿы ателекоммуникациатә инфраструктуреи, амҩаҧгага змам акоммуникациатә системақәеи, иҟәышу атехнологиақәеи ирласны рҿиара амшала, афымца-мхылдызтә ҭыҧқәа рнырра аҩаӡара акырӡа иазҳаит. Ақалакьтә қәыҧшылараҿы афымца-мхылдызтә шәаҳәаушьҭра еснагьтәи анырра акырзҵазкәа аекологиатә проблемақәеи ауаа ргәабзиара иадҳәалоу апроблемақәеи ахылҵуеит, ҷыдала, ауаа рацәа иахьынхо аҭыҧқәа рҿы. Афымца-мхылдызтә ҭыҧқәа рыҭҵаара атрадициатә методқәа, бжеиҳарала, шьаҭас ирымоуп иҳәаақәҵоу аҳәаатә арбагақәа, аха, лассы-лассы, абри аҩыза азнеишьа, аилкаамзаареи, ашәарҭара аҩаӡарақәа рыбжьара хәыҷы-хәыҷлатәи аиасрақәеи, ақалақьаҿ иҟоу ареалтә уадаҩрақәеи азаанарҧшуам. Зыӡбахәы ҳәоу апроблемақәа рыӡбара амзызла, аусумҭаҿы иарбоуп еилкаам алогика шьаҭас измоу зеилыркаара ҟало амодель ақалақь алагылазаараҿы афымца-мхылдызтә шәарҭарақәа раарҧшразы, уи еиқәыршәоуп Қарҭ имҩаҧгаз ареалтә ашәаракәа рышьаҭала.

Аҭҭцаара аҳәаақәа ирҭагӡаны, еиуеиҧшым азкызаара змоу ақалақьтә зонақәа рҿы афымца-мхәылдызтә ҭыҧқәа ринтенсивра аилкааразы ашәаракәа мҩаҧган. Иҳауз алҵшәақәа ишаҳдырбаз ала, афымца-мхәылдызтә анырра аҩаӡара еиҧшым, аинфраструктура ахки ауааҧсыра рырацәареи инақәыршәаны.

Амодельҟаҵареи алҵшәақәа реилыркаареи аиҕьтәра амзызла иаҧҵан еилкаам алогика алкааҟаҵаратә система. Асистемаҿ ахархәара рымоуп алингвистикатә ҽеиҭакқәа — илаҟәу, ибжьаратәу, иара убас, иҳараку анырра — уи ауаҩы зеилкаара илшо ашәарҭарақәа раарҧшра еиқәнаршәоит.

Егьырҭ аметодқәа иреиҧшымкәа, еилкаам алогика ашәарҭара аҩаӡарақәа рыбжьара хәыҷы-хәыҷла аиасра еиқәнаршәоит, аӡбарақәа рыдкылара апроцесс аартызаара азнарҳауеит. Зыӡбахәы ҳәоу асистема ахархәара ҟалоит аҧсабара амониторинг агентрақәеи, аурбантә планшьҭыхреи, ауаажәларратә гәабзиара аусхки рҿы аӡбарақәа рыдкылара иацхраауа ахархәага аҳасабала.

**Аҭабура:** Апроект мҩаҧысуеит Шоҭа Русҭавели ихьӡ зху Қырҭтәыла амилаҭтә аҭцарадырра-ҭҵааратә фонд ацхыраарала, апроект № YS-25-4322 аҳәаақәа ирҭагӡаны.

## თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება: მასშტაბირებადი ალბათური ILP რეალური სამყაროს ხელოვნური ინტელექტისთვის

**მერიჰან ჰაზემ ანვარ ლაბიბ ბიშარა**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო**
merihan.hazem20@gmail.com

**ანრიეტ მიშელ ფუად ბიშარა**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**
anriettehazem@gmail.com

ალბათური ინდუქციური ლოგიკური პროგრამირება (PILP) გაურკვევლობის პირობებში ინტერპრეტირებადი რელაციური მოდელების შესასწავლად ძლიერ ჩარჩოს გვთავაზობს, თუმცა მისი გამოყენება რეალურ სამყაროში ხელოვნური ინტელექტის სისტემებში მასშტაბირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო შეზღუდული რჩება [2, 4]. არსებული ILP-ზე დაფუძნებული მიდგომების უმეტესობა მაღალი გამოთვლითი ხარჯებით იტანჯება და ვერ უმკლავდება თანამედროვე ღრმა სწავლების მონაცემთა ნაკრებების მასშტაბსა და სირთულეს [1].

მოხსენება  ამ შეზღუდვებს განიხილავს ეფექტური ჰიბრიდული სისტემების დიზაინის შესწავლით, რომლებიც ინტეგრირებენ ILP-ს ღრმა სწავლებასთან და ალბათურ მსჯელობასთან. მიდგომის მიზანია გამომსახველობასა და ეფექტურობას შორის ტრადიციული კომპრომისის დაძლევა.

ამასთან, მოხსენებისას ჩვენ გამოვყოფთ მასშტაბირებადი ნეიროსიმბოლური PILP სისტემების გზამკვლევს და ხაზს ვუსვამთ მათ პოტენციალს, მხარი დაუჭირონ ხელოვნური ინტელექტის რთულ აპლიკაციებს, რომლებიც მოითხოვენ მაღალ ეფექტურობასა და მსჯელობათა გამჭვირვალეობას  [3].

### ლიტერატურა

1. Cropper, A., Morel, R. (2021). Learning programs by learning from failures. Machine Learning, 110(4), 801-856.
2. Hocquette, C., Niskanen, A., J¨arvisalo, M., Cropper, A. (2024, March). Learning MDL logic programs from noisy data. In Proceedings of the AAAI Conference on Artificial Intelligence (Vol. 38, No. 9, pp. 10553-10561).

3. Garcez, A. D. A., Gori, M., Lamb, L. C., Serafini, L., Spranger, M., Tran, S. N. (2019). Neuralsymbolic computing: An effective methodology for principled integration of machine learning and reasoning. arXiv preprint arXiv:1905.06088.
4. Hillerstr¨om, F., Burghouts, G. (2024). Towards probabilistic inductive logic programming with neurosymbolic inference and relaxation. Theory and Practice of Logic Programming, 24(4), 628-643.

# Атеориеи Апрактикеи Реимадара: Хымҽехак Арҭбаара ҟало Аҟаларалшаратә ILP Ареалтә Иҧсабаратәым Интеллект Азы

**Мериҳан Ҳазем Анвар Лабиб Бишара**
**Амшын Еиқәа Жәларбжьаратәи Ауниверситет**
merihan.hazem20@gmail.com

**Анриет Мишел Фуад Бишара**
**Иуане Џьавахишвили Ихьӡ Зху Қарҭтәи Аҳәынҭқарратә Университетаҿ Иҟоу И. Векуа Ихьӡ Зху Ахархәаратә Математика Аинститут**
anriettehazem@gmail.com

Аҟаларалшаратә аиндуктивтә алогикатә программаркра (PILP), аилкаамзаара аҭагылазаашьаҿы, зеилыркаара ҟало арелациатә медельқәа рыҭҵаараразы ашьаҭа ҕәҕәа ҳаднагалоит, аха амасштабҟаҵара иадҳәалоу ауадаҩрақәа рымшала, ареалтә дунеиаҿ, иҧсабаратәым аинтеллект асистемақәа рҿы уи усҟак ахархәара амам [2, 4]. ILP ашьаҭала уажәазы иҟоу азнеишьақәа реиҳара аҳасабратә харҵь дуқәа рҧырхагоуп, насгьы, шьаҭанкыла аҭҵаарақәа рымҩаҧгаразы ҳаамҭазтәи адыррақәа реизакра рымҽхаки руадаҩрақәеи шьаҭанкыла рыҭҵаараразы амч рызхом [1].

Ажәахәҟаҵараан абарҭ ауадаҩрақәа ирыхәаҧшуеит аеффективтә агибридтә системақәа рдизаин аҭҵаара ашьаҭала, зыӡбахәы ҳәоу ауадаҩрақәа аҧыххоит ILP шьаҭанкыла аҭҵаареи аҟаларалшаратә хәыцшьеи рҟны аинтеграциа зызу аеффективтә агибридттә системақәа рпроекциаҟаҵара аҭҵаарала.

Ажәахәҟаҵараан ҳара иалаҳкаауеит зымҽхак арҭбаара ҟало анеиросимволтә PILP системақәа рымҩақәҵага, иара убас, иаҵшьны иазгәаҳҭоит аеффективра дуи иаартны ахцәажәареи зҭаху иҧсабаратәым аинтеллект иуадаҩу аппликациақәа рыдгылара аганахьала уи иамоу аптенциал [3].

## Алитература

1. Cropper, A., Morel, R. (2021). Learning programs by learning from failures. Machine Learning, 110(4), 801-856.

2. Hocquette, C., Niskanen, A., J¨arvisalo, M., Cropper, A. (2024, March). Learning MDL logic programs from noisy data. In Proceedings of the AAAI Conference on Artificial Intelligence (Vol. 38, No. 9, pp. 10553-10561).
3. Garcez, A. D. A., Gori, M., Lamb, L. C., Serafini, L., Spranger, M., Tran, S. N. (2019). Neuralsymbolic computing: An effective methodology for principled integration of machine learning and reasoning. arXiv preprint arXiv:1905.06088.
4. Hillerstr¨om, F., Burghouts, G. (2024). Towards probabilistic inductive logic programming with neurosymbolic inference and relaxation. Theory and Practice of Logic Programming, 24(4), 628-643.


## ბაიესისეული დალაგებიდან არაკლასიფიცირებულ ალბათობამდე: ადამიანის მსგავსი ხელოვნური ინტელექტისკენ მიმავალი სამეცნიერო გზა


**მერიუმ ჰაზემ ანვარ ლაბიბ ბიშარა**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
merium.hazem20@gmail.com

**ანრიეტ მიშელ ფუად ბიშარა**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**
anriettehazem@gmail.com


არსებული გაურკვევლობის ჩარჩოები, ინტერვალებზე დაფუძნებული ალბათობები, რწმენის ფუნქციები და შესაძლებლობის თეორია სუსტად არის ინტეგრირებული თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან. კერძოდ, ისინი კარგად არ არის თავსებადი მანქანურ სწავლებასთან [1] და ღრმა სწავლების პარადიგმებთან, რაც ზღუდავს მათ გამოყენებადობას მასშტაბურ, მონაცემებზე დაფუძნებულ გარემოში. შედეგად, ამ მოდელების რეალურ სამყაროში გამოყენება [2] შეზღუდული რჩება, რადგან მხოლოდ რამოდენიმე პრაქტიკული სისტემა ეფექტურად იყენებს მათ.

ამ მოხსენებაში ჩვენი მიზანია თეორიული გაურკვევლობის მოდელებსა და რეალურ სამყაროში ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებს შორის არსებული ხარვეზის შევსება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სწავლაზე დაფუძნებულ სისტემებთან თავსებადობის გაუმჯობესება და მასშტაბირებასთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარება აუცილებელია გაურკვევლობის პირობებში ეფექტური მსჯელობისთვის [3].

### ლიტერატურა


1. Stephen H Bach, Matthias Broecheler, Bert Huang, and Lise Getoor. Hinge-loss markov random fields and probabilistic soft logic. Journal of Machine Learning Research, 18:1 67, 2017.

2. David Poole. Abducing through negation as failure: Stable models within the independent choice logic. The Journal of Logic Programming, 44(1-3):5–35, 2000.
3. Chitta Baral, Michael Gelfond, and Nelson Rushton. Probabilistic reasoning with answer sets. Theory and Practice of Logic Programming, 9(1):57–144, 2009.

## Баиесиантәи Аилыҵшаара Аҟынтәи Аклассификациа Зызум Аҟаларалшара Аҟынӡа: Ауаҩы Иеиҧшу Иҧсабаратәым Аинтеллектахь Ирхоу Атҵарадырратә Мҩа

**Мериум Ҳазем Анвар Лабиб Бишара**
**Амшын Еиқәа Жәларбжьаратәи Ауниверситет**
merium.hazem20@gmail.com

**Анриет Мишель Фуад Бишара**
**Иуане Џьавахишвили Ихьӡ Зху Қарҭтәи Аҳәынҭқарратә Университетаҿ Иҟоу И. Векуа Ихьӡ Зху Ахархәаратә Математика Аинститут**
anriettehazem@gmail.com

Уажәтәи аилкаамзаара атеориеи, аинтервалқәа ирышьаҭаку аҟаларалшарақәеи, агәрагара афункциақәеи, алшарақәа ртеориеи иҧсабаратәм аинтеллект асистемақәа рҟны рыдҳәалара ҧсыҽуп. Лымкаала, дара амашьынатә атҵаразы иманашәалам [1], шьаҭанкыла атҵара апарадогмақәа ирнаалом, убри аҟынтә, адыррақәа ирышьаҭаку ақәыҧшылараҿы усҟак ахархәара рымам. Убри амшала, абарҭ амодельқәа ареалтә дунеиаҿ рхархәара уажәгьы иҧкуп[2], акык-ҩбак апрактикатә системақәа мацара роуп урҭ зхы иазырхәо. Ҳажәахә хықәкыс иамоуп атеориатә аилкаамзаара амодельқәеи ареалтә дунеиаҿ иҧсабаратәым аинтеллект аппликациақәеи рыбжьара иҟоу агхақәа рыриашара.

Ҳара ишьақәҳарҕәҕәоит аилкаамзаара аҭагылазаашьаҿы абри азтҵаара еффективла хшыҩзышьҭра азура азыҳәан, атҵара иашьаҭаку асистемақәа рашьашәалазаара аиҕьтәреи амасштабҟатҵареи ирыдҳәалоу апроблемақәа хымҧада ишыӡбатәу [3].

### Алитература

1. Stephen H Bach, Matthias Broecheler, Bert Huang, and Lise Getoor. Hinge-loss markov random fields and probabilistic soft logic. Journal of Machine Learning Research, 18:1 67, 2017.
2. David Poole. Abducing through negation as failure: Stable models within the independent choice logic. The Journal of Logic Programming, 44(1-3):5–35, 2000.
3. Chitta Baral, Michael Gelfond, and Nelson Rushton. Probabilistic reasoning with answer sets. Theory and Practice of Logic Programming, 9(1):57–144, 2009.

.

# ციფრული ტექნოლოგიების როლი აფხაზური ენის (A1 დონე) სწავლების პროცესში

**რატი სხირტლაძე**
ააიპ „ენაგრამა“, დირექტორი და დამფუძნებელი
rati@enagram.ai

**ლეილა ავიძბა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ინსტიტუტი

**ნათია ფონიავა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ციფრულ ეპოქაში ენის გადარჩენისა და განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომ ის თანამედროვე ტექნოლოგიებს მოერგოს. იუნესკოს მონაცემებით, აფხაზური ენა პოტენციურად დაუცველი ენების კატეგორიას მიეკუთვნება (UNESCO 2010). ამ გამოწვევაზე რეაგირების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ააიპ „ენაგრამამ“ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით შექმნეს ელექტრონული სასწავლო კურსი „აფხაზური ენა — A1 დონე“.

კურსი ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) სტანდარტებზეა დაფუძნებული და სპეციალურად ქართულენოვანი შემსწავლელებისთვის არის შედგენილი, ვინაიდან ითვალისწინებს ორივე ენის სტრუქტურულ სპეციფიკას. კურსი მოიცავს 30 გაკვეთილს და ფარავს ოთხივე ენობრივ კომპეტენციას — მოსმენას, კითხვას, წერასა და მეტყველებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზური ენის ფონემატური სისტემის (ლაბიალიზებული და პალატალიზებული თანხმოვნები) და გრამატიკული სტრუქტურის (პირ-კლასოვანი სისტემა, კითხვითი ფორმები) თანდათანობით, ვიზუალური და სმენითი საშუალებებით წარდგენას.

ვებპლატფორმა (https://abkhaz.enagram.ai/) აღჭურვილია აფხაზური ვირტუალური კლავიატურით, მრავალფეროვანი ინტერაქტიული სავარჯიშოებით, გახმოვანებული ტექსტებითა და დიალოგებით, ვიზუალური ილუსტრაციებითა და მყისიერი უკუკავშირის სისტემით: სწორად შესრულებულ დავალებას აფხაზურენოვანი აუდიო დადასტურება ეძლევა, ხოლო შეცდომის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად სთავაზობს სწორ პასუხს, რაც გავლილი მასალის განმტკიცებას უწყობს ხელს.

კურსი ხსნის გეოგრაფიულ და დროით ბარიერებს, ნაწილობრივ აგვარებს კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობის პრობლემას და ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს, უფასოდ და მისთვის მოსახერხებელი ტემპით დაეუფლოს აფხაზურ ენას. ინიციატივა სრულად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ენის ათწლიანი სტრატეგიის (2021–2030) მოთხოვნებს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციით აფხაზური ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსს ატარებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, და შესაბამისად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება იზრუნოს მის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

# Аҧхьаӡацтә Технологиақәа Ԥроль Аҧсуа бызшәа (A1 аҩаӡара) Атҵара Апроцесс Аҿы

**Рати Схиртлаӡе**
**Аиҿкаара „Енаграма“, Адиректори Ашьаҭакҩи**
rati@enagram.ai

**Леила Аҩӡба**
**Қарҭтәи Аҳәынтқарратә Университет, Аҧсны Аинститут**

**Наҭиа Ҧониава**
**Қарҭтәи Аҳәынтқарратә Университет, Арнольд Чиқобава Ихьӡ Зху Абызшәаҭтҵааратә Институт**

Аҧхьаӡацтә епохаҿы абызшәа аиқәырхареи аҿиареи азы, ари абызшәа ҳаамҭазтәи атехнологиақәа ирнаалароуп, уи ахадаратә ҭагылазаашьақәа ирeиуп. ИУНЕСКО адыррақәа рыла, аҧсуа бызшәа ихьчам абызшәақәа ркатегориа иатҵанакуеит (UNESCO 2010). Абри апроблема ақәҿыҭра амзызла, Қарҭтәи аҳәынтқарратә университети аиҿкаара „Енаграмеи“, Шоҭа Русҭавели ихьӡ зху амилаҭтә атҵарадырра-ҭтҵааратә фонд ацхыраарала, иаҧыртҵеит аелектронтә атҵаратә курс „Аҧсуа бызшәа — A1 аҩаӡара“.

Акурс аҧҵоуп абызшәа аҭтҵаара азеиҧш европатәи система (CEFR) астандартқәа рышьаҭала, уи ақырҭуа бызшәа здыруа атҵаҩцәа ирызкуп, избанзар, уаҟа аҩ- бызшәак реилазааратә ҷыдарақәа иазҧхьагәаҭоуп. Акурс еиқәыршәоуп 30 аурокқәа рыла, уаҟа абызшәа компонентқәа рыҧшьбагьы еилоуп — аӡырҩреи, аҧхьареи, аҩреи, ацәажәареи. Хшыҩзышьҭра ҷыда рызуп аҧсуа бызшәа афонематикатә системеи (алабиалтәи апалаталтәи ацыбжьыҟақәа) аграмматикатә аилазаара (ахаҿытә-акласстә система, азтҵааратә формақәа) хәыҷы-хәыҷла, авизуалтәи аӡырҩратәи хархагақәа рыла аарҧшреи.

Авебплатформа (https://abkhaz.enagram.ai/) еибыҭоуп аҧсуа авиртуалтә клавиатуреи, еиуеиҧшым аинтерактивтә аҿаршьцыларақәеи, абжьы зхоу атекстқәеи адиалогқәеи, авизуалтә иллиустрациақәеи, иаразнактәи шьҭахьҟатәи аимадаратә системеи рыла: ииашаны инагӡоу адтҵа иацуп аҧсышәала иҟоу аудио ашьақәырӷәӷәаара, агха иҟазар, асистема, автоматла, аҭак ииаша шәыднагалоит, уи изхысхьоу аматериал арӷәӷәаара иацхраауеит.

Ари акурс агеографиатәи аамҭатәи аҧынгылақәа амам, зквалификациа ҳараку артҵаҩцәа рмаҷра апроблема аӡбара иацхраауеит, аҧсуа бызшәа зтҵар зҭаху дарбанзаалак, хәыда-ҧсада, иара изыманшәалоу аласрала, аҧсуа бызшәа итҵар илшоит. Ари аинициатива Қырҭтәыла аҳәынтқарратә бызшәа жәашықәсатәи астратегиа (2021–2030) аҳәарақәа ирышьашәалоуп, избанзар, Қырҭтәыла Аконституциа инақәыршәаны, ақырҭуа бызшәа инаваргыланы, аҧсуа бызшәагьы, Аҧснытәи автономтә республикаҿы аҳәынтқарратә бызшәа астатус амоуп, убри аҟынтә, аҳәынтқарра ари абызшәа ахьчареи арҿиареи иауалуп.

# ურანგო ალბათური ლოგიკის გამოყენება ბუნებრივი ენის ორაზროვნების გაგებისთვის

**მიხეილ რუხაია**
**თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ხელოვნური ინტელექტის მიმართულების პროფესორი**
mrukhaia@logic.at

აქამდე შესწავლილი ყველა ალბათური ლოგიკური ფორმალიზმი ან წინადადებითია, ან მხოლოდ ინდივიდუალურ ცვლადებს მოიცავს, ანუ ისეთ ცვლადებს, რომელთა ჩანაცვლებაც შესაძლებელია მხოლოდ ერთი თერმით. მეორეს მხრივ, გაჩნდა თეორიები და სისტემები, რომლებიც იყენებენ არა მხოლოდ ინდივიდუალურ ცვლადებს, არამედ მიმდევრობით ცვლადებსაც (ეს ცვლადები შეიძლება შეიცვალოს თერმთა სასრული, შესაძლოა ცარიელი მიმდევრობით). ეს თეორიები, როგორც წესი, შეიცავს ე.წ. ურანგო სიმბოლოებს: ფუნქციონალურ და/ან პრედიკატულ სიმბოლოებს, რომელთაც ფიქსირებული ადგილიანობა არ აქვთ. ურანგო ტერმი არის პირველი რიგის ტერმი, სადაც ერთი და იგივე ფუნქციონალური სიმბოლო შეიძლება შეგხვდეს სხვადასხვა ადგილას არგუმენტების სხვადასხვა რაოდენობით.

ასეთი კონსტრუქტების სარგებლიანობა ნაჩვენებია რამდენიმე ფორმალიზმში და ილუსტრირებულია პრაქტიკულ გამოყენებაში, რომელიც დაკავშირებულია XML-თან [1], ცოდნის წარმოდგენასთან, ავტომატურ მსჯელობასთან და წესებზე დაფუძნებულ პროგრამირებასთან [2]. მაგალითად, Mathematica სისტემას აქვს მძლავრი წესებზე დაფუძნებული პროგრამირების ენა, რომელიც იყენებს ურანგო შესაბამისობას ალგორითმს მიმდევრობით ცვლადებთან [3]. ურანგო ფუნქციონალური სიმბოლოები და მიმდევრობითი ცვლადები ენას დიდ გამომსახველობას სძენს, რაც საშუალებას იძლევა დაწეროს მოკლე, ლაკონური, ადვილად წასაკითხი კოდი.

ჩვენ ერთი ნაბიჯით წინ წავწიეთ ლოგიკური და ალბათური მეთოდების ჰიბრიდიზაცია და ვავითარებთ პირველი რიგის ურანგო ალბათურ ლოგიკას მიმდევრობითი ცვლადებით და ურანგო ფუნქციონალური სიმბოლოებით. ამ ფორმალიზმში, მიმდევრობითი ცვლადები, ურანგო თერმები და ალბათური პრიმიტივები ერთად არის ხელმისაწვდომი. [4]. ჩვენ ვაჩვენებთ ასეთი სისტემის სარგებლიანობას ბუნებრივ ენაში ორაზროვნების გაგების მაგალითის მოყვანით.

## ლიტერატურა

1. Jorge Coelho, Mario Florido, Temur Kutsia. Collaborative Schema Construction using Regular Sequence Types, Proceedings of the IEEE International Conference on Information Reuse and Integration (Las Vegas, Nevada, USA), 2009, pp. 290–295.
2. Mircea Marin, Temur Kutsia. Foundations of the rule-based system ρLog, Journal of Applied Non-Classical Logics, vol.16(1-2), 2006, pp. 151–168.
3. Bruno Buchberger. Mathematica as a rewrite language. In Tetsuo Ida, Atsushi Ohori, and Masato Takeich, editors, Functional and Logic Programming - 2nd Fuji International Workshop, FLOPS 1996, Shonan Village, Japan, June 4-6, 1996. Proceedings, Lecture Notes in Computer Science, pages 1–13. Springer, 1996.

4. Temur Kutsia and Bruno Buchberger. Predicate logic with sequence variables and sequence function symbols. In International Conference on Mathematical Knowledge Management, pages 205–219. Springer, 2004.

## Раангда Аҟаларалшара Алогика Ахархәара Аԥсабаратә Бызшәа Атҵакырацәара Аилкааразы

**Михаил Рухаиа**
**ҚАУ Ахархәаратә Математика Аинститут, Абизнеси Атехнологиақәеи Руниверситет, Иԥсабаратәым Аинтеллект Ахырхарҭа Профессор**
mrukhaia@logic.at

Иахьанӡа иҭҵаау аҟаларалшара алогикатә формализм ма апропозицоналтәуп, ма хазхаҭалатәи аԥсахгақәа мацара атҵанакуеит, ҽакала иаҳҳәозар, терминк мацарала зыԥсахра ҟало аԥсахгақәа. Егьи аганахьала, ицәырҵит хазхаҭалатәи аԥсахгақәа мацара ракәымкәа, еишьҭагылоу аԥсахгақәагьы ахархәара ахьрымоу атеориақәеи асистемақәеи (арҭ аԥсахгақәа џсахзар ауеит атҵыхәтәантәи, мамзаргьы иҭацәу аишьҭагыла ала). Ишаԥу еиԥш, абарҭ атеориақәа ирылоуп арангда асимволқәа: афункционалтә ма/иара убас апредикаттә символқәа, дара иҳәаақәтҵоу аҭыԥ рымам. рангда атерм актәи ариад атермуп, уаҟа афункциатә символ еиуеиԥшым аҭыԥқәа рҿы, еиуеиԥшым аргументқәа рыла иуԥылар ауеит.

Абри аҩыза аконструкторқәа хырҳагас ирымоу арбоуп иакымкәа аформализмқәа рҿы, уи убарҭоуп XML-и [1], адырра аарԥшреи, автоматтә ахцәажәареи, апҟарақәа рышьаҭала апрограммаркратә бызшәеи ирыдҳәалоу апрактикатә ҳархәара аангьы [2]. Иаҳҳәап, Mathematica асистема иамоуп апҟара ҕәҕәақәа рышьаҭала иаԥҵоу апрограммаркратә бызшәа, ари абызшәаҿы ахархәара рымоуп Уранго ашьашәалазаара алгоритм аишьҭагылатә аԥсахгақәа рыла [3]. Уранго афункционалтә символқәеи аишьҭагылатә аԥсахгақәеи ари абызшәа аҭкаара ду арҭоит, уи абзоурала, иаарҟьаҿу, имарианы узыԥхьаша акод аҩра алшара иҟоуп.

Ҳара алогикатәи аҟаларалшаратәи методқәа ргибридизациа ахырхарҭала ԥхьаҟа ицо даҽа шьаҿак ҟаҳҵеит, актәи ариад иатҵанакуа Уранго аҟаларалшаратә логика арҿиара ҳаҿуп еишьҭагылоу аԥсахгақәеи Уранго афункционалтә символқәеи рыла. Абри аформализм аҿы, еишьҭагылоу аԥсахгақәеи, Уранго атермқәеи, аҟаларалшара апримитивқәеи еицны рхархәара ҟалоит. [4]. Ас еиҵш иҟоу асистема ахәарҭа шамоу ааҳарџшуеит аџсабаратә бызшәаҿы аилкаарадара аилкаара аҿырџштәы ала.

### Алитература

1. Jorge Coelho, Mario Florido, Temur Kutsia. Collaborative Schema Construction using Regular Sequence Types, Proceedings of the IEEE International Conference on Information Reuse and Integration (Las Vegas, Nevada, USA), 2009, pp. 290–295.

2. Mircea Marin, Temur Kutsia. Foundations of the rule-based system ρLog, Journal of Applied Non-Classical Logics, vol.16(1-2), 2006, pp. 151–168.
3. Bruno Buchberger. Mathematica as a rewrite language. In Tetsuo Ida, Atsushi Ohori, and Masato Takeich, editors, Functional and Logic Programming - 2nd Fuji International Workshop, FLOPS 1996, Shonan Village, Japan, June 4-6, 1996. Proceedings, Lecture Notes in Computer Science, pages 1–13. Springer, 1996.
4. Temur Kutsia and Bruno Buchberger. Predicate logic with sequence variables and sequence function symbols. In International Conference on Mathematical Knowledge Management, pages 205–219. Springer, 2004.

# აფხაზური მარტივი წინადადების პირველი მათემატიკური ანალიზი შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიისა და კონსტანტინე ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძველზე

**რიტა მარღანია, ბიძინა ლემონჯავა, დავით გეგია, კონსტანტინე ფხაკაძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**
gllc.ge@gmail.com

მოხსენებისას მოკლედ იქნება მიმოხილული ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანია ციფრული ეკონომიკის ეპოქაში ქართულთან და რიგ სხვა ევროპულ ენებთან ერთად არის მათემატიკური და საინჟინრო თვალსაზრისებით მეტად არასაკმარისად შესწავლილი აფხაზური ენა. - ეს ასეა, რადგან აფხაზურმა ენამ ამ კარს მომდგარ ახალ კულტურულ ეპოქაში რომ არ დაკარგოს და, უფრო მეტიც, სრულმასშტაბიანად რომ დაიბრუნოს კულტურის მატარებელი და მაწარმოებელი ენის სტატუსი, აუცილებელია თითქმის სრულყოფილი აფხაზური კომპიუტერული "ტვინის" შემუშავება, რაც, ცხადია, აუცილებლობით ითხოვს აფხაზური ენისა და აზროვნების იზომორფული მათემატიკური თეორიის შემუშავებას, რა მიზნითაც ჩვენს ინსტიტუტში უკვე დაწყებულია კვლევები, რომლის პირველ შედეგებსაც მოხსენებისას წარმოვადგენთ.

კერძოდ, ზემოაღნიშნული კვლევების შედეგად უკვე დადგინდა რომ:

1. როგორც ქართულში, ისე აფხაზურში თხრობითი კილოს ზმნა აზრით ენაში მოიცემა კონსტანტინე ფხაკაძის [ _______ = t] სახის თხრობითი კილოს ოპერატორით. ეს შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიაზე დაყრდნობით ნიშნავს იმას, აფხაზურ აზრით ენაში, ისევე როგორც ეს არის ქართულ აზრით ენაში, [S = t] არის მარტივი თხრობითი წინადადების ზოგადი ენობრივ-ლოგიკური ფორმა. ეს კი, თავის მხრივ, კონსტანტინე ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის ფარგლებში შემუშავებული ხედვებით ნიშნავს იმას, აფხაზური ენის თხრობითი წინადადება, მაგალითად "გათენდა.", არის აფხაზური აზრითი ენის [გათენდა = t] ენობრივ-ლოგიკური გამონათქვამის შემამოკლებელი შესატყვისი.

2. როგორც ქართულში, ისე აფხაზურში სიტყვა არის თხრობითი კილოს ზმნა მაშინ, და მხოლოდ მაშინ, თუ იმ შინაარსზე, რაც ამ სიტყვით მოგვეცემა, აზრისმიერია კითხვის დასმა იმის თაობაზე, ჭეშმარიტია ის, თუ მცდარი.

| ქართული<br>1-ადგილიანი<br>უღლება | აფხაზური<br>1-ადგილიანი<br>უღლება | კომენტარი |
|---|---|---|
| 1. მე ვაშენებ სახლს | 1. Сара исыргылоит | Сара = 1=მე |
| 2. შენ აშენებ სახლს | 2. Уара иургылоит<br>3. Бара ибыргылоит | Уара=2(კ)=შენ(კ)<br>Бара=2(ქ)=შენ(ქ) |
| 3. ის აშენებს სახლს | 4. Иара иргылоит<br>5. Лара илыргылоит<br>6. Иара иаргылоит | Иара=3(კ)=ის(კ)//მას(კ)//მან(კ)<br>Лара=3(ქ)=ის(ქ)//მას(ქ)//მან(ქ)<br>Иара=3(ა)=ის(ა)//მას(ა)//მან(ა) |

ქართული და აფხაზური 1-ადგილიანი უღლებები

| ქართული 2-<br>ადგილიანი<br>უღლება | აფხაზური<br>2-ადგილიანი<br>უღლება | კომენტარი |
|---|---|---|
